

**მაჰათმა განდი**

Mahatma Gandhi

---

**გზა ღმერთისაკენ**

Pathway to GOD

გამომცემლობა „აქტი“

თბილისი – 2021

თარგმანი შესრულებულია შემდეგი  
გამოცემის მიხედვით:  
avajivan Publishing House  
Ahmedabad 380 014 (INDIA).  
September 1971.

---

მთარგმნელი: მანანა ბოსტოლანაშვილი  
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2021 წელი  
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-3288-8

## სარჩევი

მ.ს. ღებჯანელი

**ბანდის სუბიექტი მობილიზაცია**

**მისი იდეალი** ..... 5

მაკათმა ბანდი

**ბზა ღმეოოოოოოო**

მეოოოოო ..... 15

I ნაწილი: ნეოოოოოოოოოოო ..... 17

II ნაწილი: მოოოოოოო ..... 37

III ნაწილი: სუბიექტი ..... 53

IV ნაწილი: სუბიექტი ბაოოოოო ..... 73

ღანაოოო / მ.ს. ღებჯანელი

**ბანდის ბზა მმმმმმმმმმ** ..... 83

ბაოოოოოოოოოოოოოოოოოოო ..... 106-107

## ბანდის სულიერი მომზაურობა მისი იდეალი

განდი<sup>1</sup> უაღრესად რელიგიური ადამიანი იყო. მისი მოვლენებით აღსავსე ცხოვრება ჭეშმარიტად სულიერი მოგზაურობა იყო. მთელი სიცოცხლის განმავლობაში ისწრაფოდა ღმერთის შეცნობისკენ, როგორც უმაღლესი იდეალისკენ. „ღმერთთან პირისპირ შეხვედრა მსურს“, – ამბობდა იგი ძალიან ხშირად. განდი მტკიცედ აცხადებს: „ოცდაათი წელია, ვცდილობ და ვესწრაფვი ჩემი შესაძლებლობების განვითარებას, ღმერთის პირისპირ დანახვას, მოქმას მიღწევას. ამ მიზნის მისაღწევად ვცხოვრობ და ვმოძრაობ. ყველაფერი, რასაც ვამბობ და ვწერ, სწორედ ამ მიზნისკენ არის მიმართული“.

---

1. მაჰათმა განდის (1869-1948 წწ.) – მოჰანდას კარამ ჩანდ განდის – განათლებით იურისტს, ადვოკატს, პოლიტიკოსს, სამოქალაქო აქტივისტსა და მწერალს, ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ გამორჩენილ ლიდერს, ინდოელმა მწერალმა რაბინდრანათ თაგორმა (1861-1941 წწ.; ბენგალელი მწერალი, პოეტი, კომპოზიტორი, მხატვარი და საზოგადო მოღვაწე; 1913 წ. მიენიჭა ნობელის პრემია ლიტერატურაში) უწოდა „მაჰათმა“, რაც „დიდ სულიერებას“, „დიდსულოვანს“ ნიშნავს. განდის მიერ წამოწყებულმა ეროვნულმა მოძრაობამ, რომელიც არა-ძალადობრივ დაუმორჩილებლობას ეფუძნებოდა, ინდოეთს დამოუკიდებლობა მოუტანა, განდი კი ინდოელმა ხალხმა ერის მამად აღიარა. მისი მსოფლმხედველობა თანამედროვე მსოფლიოშიც უდიდეს გავლენას ახდენს თავისუფლების მოყვარე ადამიანებზე. – მ.ს. დემჰანდი.

მიუხედავად იმისა, რომ განდის სიცოცხლის დასაწყისში არ სწამდა ღმერთისა და ლოცვისა, და დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებდა ასეთ პოზიციას, ხანდაზმულობაში სიცარიელე იგრძნო ცხოვრებაში, და **შესაქმის** ჭეშმარიტ მნიშვნელობაზე დაფიქრდა. ამის შემდეგ უდიდესი დარწმუნებით შეეძლო დაენერა: „**მისი** არსებობა უფრო მეტად მჯერა, ვიდრე ის, რომ მე და შენ ამ ოთახში ვსხედვართ“.

მან ძალზე უბედურად იგრძნო თავი, როდესაც აღმოაჩინა, რომ იგი ჯერ კიდევ შორს იყო ღმერთისგან, თუმცა აცნობიერებდა, რომ **უფალი** განაგებდა მისი ცხოვრების ყოველ ამოსუნთქვას. და მაინც, მას გარკვეულწილად ანუგეშებდა იმის განცდა, რომ **ღმერთს** უახლოვდებოდა, რადგან ზოგჯერ **მისი** გამოცხადება მზის სხივებივით ათბობდა.

## მისი სადჰანა

სადჰანას, რომელსაც განდი იცავდა და ქადაგებდა ამ იდეალის მისაღწევად, აქვს სამი ასპექტი: (I) ინტელექტუალური, (II) მორალური და (III) სულიერი. (I) ინტელექტუალური ასპექტი შეიცავს ნათელ მსოფლმხედველობას **ღმერთის** ბუნების, **სულისა და სამყაროს** შესახებ, მათ ურთიერთობას ერთმანეთთან და ადამიანის მთავარ მოვალეობასთან. განდიმ მალევე გააცნობიერა ღმერთის არსებობაზე მსჯელობის უსარგებლობა და შეუძლებლობა.

„**ღმერთი** არსებობს, რადგან ჩვენ ვარსებობთ. სინამდვილეში, ჩვენ არ ვარსებობთ; მხოლოდ ის არ-

## მკითხველს

მინდა ვუთხრა ჩემი თხზულებების გულდასმით მკითხველს და სხვა დაინტერესებულებს, რომ სულაც არ მალეღვებს, თანმიმდევრული გამოვჩნდები თუ არა. ჭეშმარიტების ძიებისას ბევრი იდეა უარვეყავი და ბევრი ახალი რამ ვისწავლე.

ხანდაზმულ ასაკში ვარ და სულაც არა მაქვს შეგრძნება, რომ შევწყვიტე შინაგანად ზრდა ან რომ სხეულის გახრწნისას შეჩერდება ჩემი ზრდა. მე მაინტერესებს ჩემი მზადყოფნა, დროდადრო დავემორჩილო ჭეშმარიტების მოწოდებას, ჩემს ღმერთს, და შესაბამისად, როდესაც ვინმე, ვისაც ჯერ კიდევ სჯერა ჩემი სალი აზრის, აღმოაჩენს რაიმე შეუსაბამობას ჩემს ნებისმიერ ორ ნაწერს შორის, კარგად მოიქცევა, თუკი ორ, ერთსა და იმავე თემაზე დაწერილი თხზულებიდან უფრო გვიანდელს აირჩევს.

მ.კ. განდი

ჰარიჯან, 29-4-1933, გვ. 2

## **I ნაწილი: ინტელექტუალური საღვანე**

*ომ*

*უზენაესი იდეალი*

ადამიანის საბოლოო მიზანია ღმერთის შეცნობა.

*ღმერთი არის სატ-ჩიტ-ანანდა*

**არსებობა, ცოდნა, ძალა და ნეტარება.**

ის არის ყოვლისმომცველი, ყოვლისმცოდნე,

ყოვლისშემძლე, ყოვლადნეტარი იღუმალი ძალა.

**ჩვენი სული** არის ღვთიური ცეცხლის ნაპერწკალი,  
ერთი წვეთი ღვთიურ ოკეანეში.

სამყარო სავსეა სიხარულითა და ტანჯვით –

სიხარული ღმერთთან და ტანჯვა მის გარეშე.

ადამიანის მოვალეობა არის ღმერთის შეცნობა,

კაცობრიობის მსახურება, და *მისი*

**მარადიული ნეტარებით ტკობა.**

**პირველი თავი**

**ღმერთი**

*(1) ღმერთი ერთადერთია.*

ღმერთი, რა თქმა უნდა, **ერთია**. მას მეორე არ  
ჰყავს. ის არის მიუწვდომელი, შეუცნობელი, და  
კაცობრიობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის

უცნობი. ის ყველგან მყოფობს. ის ხედავს თვალების გარეშე და ისმენს ყურების გარეშე. ის უფორმო და განუყოფელია.

ის მარად არსებულა, არა ჰყავს მამა, დედა და ან შვილი; და მაინც, ის თავს უფლებას აძლევს, რომ **მას** თაყვანს სცემდნენ, როგორც მამას, დედას, ცოლს და შვილს. **ის თავს** იმის უფლებასაც აძლევს, რომ **მას** თაყვანს სცემდნენ როგორც კვერთხსა და ქვას, თუმცა **ის** არცერთი მათგანი არ არის. **ის** ყველაზე მოუხელთებელია. **ის** ყველაზე ახლობელია ჩვენთვის, თუკი ამ ფაქტის ცოდნა გვინდა. მაგრამ **ის** ყველაზე შორს არის ჩვენგან, როდესაც არ გვსურს **მისი** ყველგანმყოფობის შეცნობა.

მე არ ვეთანხმები იმ აზრს, თითქოს **ინდუსებს** მრავალი **ღმერთის** სწამთ და კერპთაყვანისმცემლები არიან.

ისინი მართლაც ამბობენ, რომ ბევრი ღმერთი არსებობს, მაგრამ უდავოდ იმასაც აცხადებენ, რომ არსებობს **ერთი ღმერთი, უფალი ღმერთი**. ამიტომ არ არის მიზანშეწონილი ვარაუდი, რომ ინდუსტებს მრავალი ღმერთის სწამთ. მათ, რა თქმა უნდა, სჯერათ მრავალი სამყაროს არსებობისა; ისევე, როგორც არსებობს ერთი სამყარო, ადამიანებით დასახლებული, და მეორე, რომელშიც ცხოვრობენ მხეცები; ასევე არსებობს სამყარო, დასახლებული უმაღლესი არსებებით, ჩვენ რომ **ღმერთებს** ვუნოდებთ; მათ ვერ ვხედავთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც არსებობენ.

ცდომილება იქმნება მაშინ, როდესაც ინგლისურ ენაზე თარგმნით სიტყვას देव ან देवता (დევა ან დე-



ვატა), რომლისთვისაც ვერ იპოვნეთ იმაზე უკეთესი ტერმინი, ვიდრე „ლმერთი“. მაგრამ **ლმერთი** არის იშვარა, დევადჰიდევა, ლმერთების ლმერთი.

როგორც ხედავთ, სიტყვა „**ლმერთი**“, რომელმაც წარმოშვა ასეთი დაბნეულობა, სხვადასხვა ღვთაებრივ არსებებს აღწერდა. მე მჯერა, რომ ურყევი ინდუსი ვარ, მაგრამ არასოდეს მწამდა ბევრი ლმერთისა. ბავშვობაშიც კი არ მქონია ასეთი რწმენა და ეს არც არავის უსწავლებია ჩემთვის.

*(2) ის არის ყველგანმყოფი, ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე.*

ლმერთი არ არის ვიღაც პიროვნება ჩვენს გარეთ ან სამყაროსგან მოშორებით. ის მოიცავს ყველაფერს და არის ყოვლისმცოდნე და ასევე ყოვლისშემძლე. მას არ სჭირდება რამენაირი განდიდება ან მუდარა. ის იმანენტურია ყველა არსებაში და მას ესმის ყველაფერი და კითხულობს ჩვენს აზრებს გულისგულში. ის ჩვენს გულებში რჩება და უფრო ახლოსაა, ვიდრე ფრჩხილები ჩვენს თითებზე. ასე რომ, **ლმერთი** უპიროვნოა. ის არის ყოვლისმომცველი, ყოვლისშემძლე **სული**. ნებისმიერს, ვისაც **მისი** ხმა ესმის გულში, აქვს საოცარი ძალა ან ენერჯია, რომელიც თავისი შედეგებით შეიძლება შევადაროთ ისეთ ფიზიკურ ძალებს, როგორიცაა ორთქლი ან ელექტროობა, მაგრამ ბევრად უფრო დახვეწილია.

*(3) ის არის იდუმალი ძალა.*

არსებობს **განუსაზღვრელი იდუმალი ძალა**, რომელიც ყველაფერში აღწევს. ამას ვგრძნობ, თუმცა ვერ ვხედავ. სწორედ ეს **უხილავი ძალა** მაგრძნობინებს

თავს, თუმცა არ ეპყება მტკიცებულებებს, რადგან ძლიერ განსხვავდება ყველაფრისგან, რასაც ჩემი გრძნობებით აღვიქვამ. ის აღემატება გრძნობებს. ბუნდოვნად აღვიქვამ, რომ როდესაც ყველაფერი ჩემს ირგვლივ მუდმივად იცვლება და კვდება, მთელი ამ ცვალებადობის საფუძველში არის ცოცხალი ძალა, რომელიც უცვლელია, ყველაფერს აერთიანებს, ქმნის, აქრობს და ხელახლა ქმნის. ეს უცვლელი **ძალა** ან **სული** არის **ღმერთი**.

ჭეშმარიტებაა, რომ ღმერთი არის ძალა. ის არის ცხოვრების არსი. ის არის წმინდა, სპეტაკი ცნობიერება. ის მარადიულია. და მაინც, რაც არ უნდა უცნაურად ჩანდეს, ყველას არ ძალუძს სარგებელი ან თავშესაფარი ჰპოვოს ამ ყოვლისმომცველ, **ცოცხალ თანა-ყოფნაში**.

ელექტროენერგია მძლავრი ძალაა. ყველას არ შეუძლია ამით სარგებლობა.

მისი წარმოება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული კანონების დამორჩილებით. ეს უსიცოცხლო ძალაა. ადამიანს შეუძლია მისი გამოყენება, თუ იგი ისეთი ძალისხმევით გაირჯება, რომ მისი კანონები გაიგოს. ასევე შეიძლება დავემორჩილოთ **ცოცხალ ძალასაც**, რომელსაც **ღმერთს** ვუნოდებთ, თუ გვეცოდინება და დავიცავთ მის კანონს, **მას** რომ აღმოგვაჩინებებს საკუთარ თავში.

**ღმერთი** არის **უხილავი ძალა**, რომელიც ჩვენში მყოფობს. ბევრი ძალა იმალება ჩვენში და მათ მუდმივი ბრძოლით აღმოვაჩინებთ. თუმცა შესაძლოა, აღმოვაჩინოთ ეს **უზენაესი ძალა**, თუ მტკიცედ გადავწყვეტთ მის პოვნას და გონივრულად მოვძებნით.

## ბამოხსაქმობა „აქტი“-ს მიერ ბამოხსაქმული ნიბნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტიე
2. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
3. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა
4. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
5. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი
6. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
7. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება
8. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
9. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
10. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
11. ზიგმუნდ ფროიდი – ეგო და ID
12. ლევ შესტოვი – უსაფუძვლობის აპოთეოზი
13. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო
14. ბერტრან რასელი – ესეები
15. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი
16. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
17. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია
18. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი
19. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ

20. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
21. ერის ფრომი – ადამიანის სული
  
22. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
23. სვამი ვივეკანანდა – შთაგონებული საუბრები
24. სვამი ვივეკანანდა – კარმა-იოგა
25. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
26. მერაბ მამარდაშვილი – რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები
  
27. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე
  
28. გუსტავ ლე ბონი – მასების ფსიქოლოგია
29. გუსტავ ლე ბონი – ერების ფსიქოლოგია
  
30. ჯიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
31. ჯიდუ კრიშნამურტი – სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
  
32. ოშო – რა არის მედიტაცია?
33. ოშო – სექსიდან სუპერცნობიერებამდე
  
34. ემა გოლდმანი – ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი
35. დევიდ ლოურენსი – ფსიქონალიზი და არაცნობიერი
  
36. იულიუს ევოლა – ომის მეტაფიზიკა
37. ჯორჯ ბერკლი – ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ
38. მაჰათმა განდი – გზა ღმერთისაკენ